ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებელს
მცხ. ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 75, მე-3 კვარტლის,
მე-9 კორპუსი, ბინა 62
ტელ. 232 87 23, მობ. 599 190 054
მოქ. ჯემალ წულაძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობ ზემოთ ხსენებულ მისამართზე, ამავე დროს ვარ 9-ე კორპუსის ბმა „აკადემიკოს 44“-ის თამჯდომარე. ჩვენი კორპუსისა და მისი მიმდებარე ტერიტორია მოქცეულია წითელ ხაზებში. კორპუსის გვერდზე არის მიწის ნაკვეთი, რომელიც რატომღაც წითელ ზოლში არ მოაყოლეს. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა ჩვენმა მობინადრემ, რამდენიმე მეზობელთან შეთანხმებით, მოვილაპარაკეთ აღნიშნული მიწის შესყიდვა. მათ შეადგინეს სათანადო დოკუმენტაცია, მიმართეს სათანადო უწყებას. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მისი შეძენა იაფი ღირდა. აღნიშნული ნაკვეთის შეძენა გვინდოდა სკვერისა და ბავშვების სათამაშოების მოსაწყობად. ქონების მართვის სააგენტომ მოგვწერა პასუხი, რითაც აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე უარი გვეთქვა. ეს მოხდა 2010 წლის 28/VI, № 12/77927-8, რომელსაც ხელს აწერს ქონების მართვის სააგენტოს უფროსი, ბ-ნი კონსტანტინე ვაშაყმაძე.

ამის შემდეგ მიწის ნაკვეთი თვითონ გამოიტანეს აუქციონზე 2013 წელს და მოხდა მისი გასხვისება. ჩვენ განცხადებით მივმართეთ მერიას. პასუხი ასეთია: ჩვენ ყველა კანონის დაცვით მოვახდინეთ მიწის ნაკვეთის გასხვისებაო. მივმართეთ მთავარ პროკურატურას, არასამთავრობოებს, მაგრამ ვერ მივაღწიეთ მიზანს. როგორც გავიგეთ, მიწის ამ ფართზე მრავალსართულიანი შენობის აშენებას აპირებენ, რაც ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან 1 სადარბაზოს ჩაუბნელებს ფანჯრებს, არ რჩება ქვეითად მოსიარულეების სავალი ნაწილი. შენობის პირველ სართულზე, მათი განცხადებით, განთავსდება მაღაზია. ამის გამო იქნება უამრავი მანქანის მოძრაობა და სხვა შეზღუდვები.

2013 წლის 18 ივლისს დილის 8 საათზე მოვიდნენ მიწის შემსყიდველი პირები და მოჭრეს 3 ძირი ფიჭვის ხე, როდესაც მეოთხეს ჭრიდნენ, გავიგეთ და არ მოვაჭრევინეთ. გამოვიძახეთ პოლიციის პატრული, საგამომძიებლო ჯგუფი მერიის ზედამხედველობის სამსახური თანამშრომლები. გაირკვა, რომ პირებმა, რომლებმაც ხეები მოჭრეს, აცხადებდნენ, ნაკვეთი ჩვენია და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთო. პოლიციას ყველა მონაცემი მივაწოდეთ, მაგრამ არც ერთი პირი არ დასჯილა. მერიის ზედამხედველობის თანამშრომლებმა ის პირები 500 ლარით დააჯარიმეს, რომლებზეც, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ირიცხება, შპს „არეიონი-2“ ID №404973221. მესაკუთრეები არიან თამარ ყაჯრიშვილი და მედეა გიორგაძე 50-50%-ის მფლობელები.

2013 წლის 21 ივლისს დილის 6 საათზე იქნა კიდევ 1 ძირი ფიჭვის ხე მოჭრილი. ჩვენ შევატყობინეთ საპატრულო პოლიციის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ მიგვიღია. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და აგრძელებენ თავის საქმიანობას. განცხადებით ისევ მივმართეთ ქალაქის მერს და არქიტექტურის სამსახურს. ველოდებით პასუხს. იქნებ პირადად თქვენ დაგვეხმაროთ აღნიშნული საქმის მოგვარებაში.

გამცხადებელი
ბმა „აკადემიკოს 44“-ის თამჯდომარე /ჯ.წულაძე/

დანართი 3 ფურცლად

9/VII - 2013წ.